ხელშეკრულება N27

გამარტივებული სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

ს.შილდა 09.06.2017წ.

ერთის მხრივ, სსიპ - ქალაქ ყვარლის მუნიციპალიტეტის სოფელ შილდის N2 საჯარო სკოლა (შემდგომში - შემსყიდველი) წარმოდგენილი მისი დირექტორის დარეჯანი კანანაძის სახით და მეორეს მხრივ, (შემდგომში - მიმწოდებელი) წარმოდგენილი შპს ბიბლუსის სახით, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე_3 მუხლის პირველი პუნქტის „ს[1]“ ქვეპუნქტის შესაბამისად ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას.

მუხლი 1. ხელშეკრულების საგანი

1.1. წინამდებარე ხელშეკრულების საგანია სკოლების საგრანტო დაფინანსების პროგრამის ,,თავისუფალი გაკვეთილები'' ფარგლებში პროგრამის კოდი–32 02 13 ინტელექტუარულ/შემეცნებითისთვის საკანცელარიო საქონელი(CPV30100000)შესყიდვა ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ანაზღაურების სანაცვლოდ.

1.2. ხელშეკრულებით გათვალისწინებული საგნის დეტალური აღწერა მოცემულია დანართ №1-ში, რომელიც წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

მუხლი 2. ხელშეკრულების საგნის ღირებულება

2.1. ხელშეკრულების საგნის საერთო ღირებულება შეადგენს200ლარს (ორას ლარს)

2.2. ხელშეკრულების საგნის საერთო ღირებულება მოიცავს საქონლის შესყიდვასა და მიწოდებასთან დაკავშირებულ ანაზღაურებას საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა სახის გადასახადისა და მოსაკრებლის ჩათვლით.

მუხლი 3. მიღება-ჩაბარება და ანგარიშსწორება

3.1. საქონლის მიღება დასტურდება შემსყიდველისა და მიმწოდებლის უფლებამოსილი წარმომადგენლების მიერ მიღება-ჩაბარების აქტით ან/და ანგარიშფაქტურით.

3.3. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება ხდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ეროვნულ ვალუტაში მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებაში მითითებულ საბანკო ანგარიშზე.

3.4. ანგარიშსწორება განხორციელდება საქონლის მიღება-ჩაბარების აქტის ან/და ანგარიშფაქტურის გაფორმებიდან 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.

მუხლი 4. საქონლის მიწოდების ადგილი და ვადა

4.1. მიმწოდებელი საქონლის მიწოდებას უზრუნველყოფს ხელშეკრულების დადებიდან 10(ათი) დღის ვადაში შემსყიდველის მისამართზე შილდიN2 საჯარო სკოლა

მუხლი 5. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

5.1.მხარეები პასუხს აგებენ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებისათვის ან არაჯეროვანი შესრულებისათვის საქართველოს მოქმედი კანონის შესაბამისად.

5.2. ხელშეკრულების თითოეულ მხარეს უფლება აქვს მოსთხოვოს მეორე მხარეს წინამდებარე ხელშეკრულებიდან და მოქმედი კანონმდებლობიდან გამომდინარე მოვალეობათა კეთილსინდისიერი შესრულება.

5.3. მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს საქონლის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.

5.4. შემსყიდველი უფლებამოსილია მოსთხოვოს მიმწოდებელს საქონლის მიწოდება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.

5.5. მიმწოდებელი ვალდებულია:

ა) ჯეროვნად, კეთილსინდისიერად, დათქმულ დროსა და ადგილას შეასრულოს ხელშეკრულებით დაკისრებული ვალდებულებები;

ბ) ხელშეკრულებით განსაზღვრული საგნის ნაკლის/ხარვეზის აღმოჩენის შემთხვევაში უზრუნველყოს მისი შეცვლა ან ნაკლის გამოსწორება შემსყიდველის მხრიდან რაიმე დამატებითი ხარჯის გაწევის გარეშე;

მუხლი 6. პირგასამტეხლო

6.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში, მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების საერთო ღირებულების 0.1%-ის ოდენობით, ხოლო ვალდებულების ნაწილის შეუსრულებლობის შემთხვევაში - ვალდებულების შეუსრულებელი ნაწილის 0.1%-ის ოდენობით.

6.2. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილების შემთხვევაში, მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი ნაწილის 0.1%-ის ოდენობით.

მუხლი 7. ფორსმაჟორი

7.1. მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია ფორსმაჟორით.

7.2. თუ ერთ-ერთი მხარე ფორსმაჟორის გამო ვერ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, იგი ვალდებულია დაუყოვნებლივ, მაგრამ არაუგვიანეს 3 კალენდარული დღისა, აცნობოს მეორე მხარეს მათი დადგომის ან/და დასრულების შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაბამისი მხარე არ გათავისუფლდება ნაკისრი ვალდებულებებისაგან.

7.3. მხარეთა პასუხისმგებლობა და ვალდებულებები განახლდება ფორსმაჟორის მოქმედების დასრულებისთანავე.

მუხლი 8. ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

8.1. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.

8.2. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

8.3. ხელშეკრულება შეიძლება შეწყდეს:

ა) მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე;

ბ) თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;

გ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

მუხლი 9. დავები, მათი გადაწყვეტის წესი

9.1. ხელშეკრულებიდან გამომდინარე ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმებით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

9.2. ხელშეკრულება დადებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და მისი დებულებები

განიმარტება საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით.

მუხლი 10. შეტყობინება

10.1. ხელშეკრულებიდან გამომდინარე ნებისმიერი შეტყობინება უნდა გაიგზავნოს წერილის სახით ან ფაქსის/ელექტრონული ფოსტის მეშვეობით, ორიგინალის შემდგომი წარმოდგენით.

10.2. შეტყობინება ძალაში შედის ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს.

მუხლი 11. გადასახადები და დაბეგვრა

11.1 მიმწოდებელი პასუხს აგებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გადასახადების, მოსაკრებლების და სხვა გადასახადების გადახდაზე.

მუხლი 12. ხელშეკრულების ენა

12.1 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე ორი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად. ერთი ეგზემპლარი ინახება მიმწოდებელთან, ერთი - შემსყიდველთან.

მუხლი 13. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

13.1 ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერისთანავე და მოქმედებს 2017 წლის30 ივლისის ჩათვლით

მუხლი 14. მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერები

შემსყიდველი: სსიპ - ქალაქ ყვარლის მუნიციპალიტეტისსოფელ შილდის №2 საჯარო სკოლა ს/კ 241557784 მის: სოფ .შილდა ტელ:577122304 საბანკო რეკვიზიტები: ს/ს ,,-ლიბერთი ბანკი" ბანკის კოდიLBRTGE22 ა/ა GE52LB0121120011240000 დირექტორი დ.კანანაძე	**მიმწოდებელი:** შპს ბიბლუსი საიდენტიფიკაციო კოდი.. 205254892 მის.:ქ.თელავი ტელ.: საბანკო რეკვიზიტები: ს/ს,,საქართველოს ბანკი'' ბანკის კოდი BAGAGE22 ა/ა GE17BG0000000817232100 შპს ბიბლუსი.

დანართი N1 ხელშეკრულების საგნის აღწერა

1. შესყიდვის ობიექტია:

N	დასახელება	განზომილების ერთეული	რაოდენობა	ერთეულის ფასი	საერთო
1	ქაღალდის სკოჩი	ცალი	1	3	3
2	მაგნიტი	ცალი	1	3,65	3,65
3	მაკრატელი	ცალი	1	3	3
4	ჩასანიშნი მწვანე	ცალი	1	1,85	1,85
5	ენციკლოპედია შევიცნოთ ჩვენი სამყარო	ცალი	1	40,90	40,90
6	485577ფერადი ქაღალდი	ცალი	1	1,20	1,20
7	485591ფერადი ქაღალდი	ცალი	2	1,80	3,60
8	ფოტო ალბომი	ცალი	1	16,40	16,40
9	კლიფჩატი	ცალი	1	9	9
10	საოფისე ქაღალდი A4	ცალი	1	7,50	7,50
11	დაფის მარკერი შავი	ცალი	2	1,90	3,80
12	დაფის მარკერი წითელი	ცალი	2	1,90	3,80
13	დაფის მარკერი ლურჯი	ცალი	2	1,90	3,80
14	ბურთულიანი კალამი ლურჯი	ცალი	2	0,45	0,90
15	დაფა ფეხზე დასადგმელი	ცალი	1	97,60	97,60
	ჯამი				200

შილდის N2საჯარო სკოლისდირექტორი

შპს ბიბლუსი

მიღება-ჩაბარების აქტი

09.06. 2017 წ.

ჩვენ, ერთი მხრივ, ქალაქ თელავის (შემდგომში - მიმწოდებელი) წარმოდგენილი შპს ბიბლუსის სახით, ხოლო, მეორე მხრივ, სსიპ - ყვარლის მუნიციპალიტეტის სოფელ შილდის N2 საჯარო სკოლა (შემდგომში - შემსყიდველი), წარმოდგენილი მისი დირექტორის დარეჯანი კანანაძის სახით, ვადასტურებთ, რომ მიმწოდებელმა შემსყიდველს მიაწოდა, ხოლო შემსყიდველმა მიიღო შესყიდვის თაობაზე დადებული ხელშეკრულებისN27 09.06 2017წ პროგრამის კოდი 32 02 13 საფუძველზე წინამდებარე მიღება-ჩაბარების აქტით განსაზღვრული საქონელი, რომლის ღირებულებაც შეადგენს 200(ორას) ლარს.

დასახელება	რაოდენობა	ერთეულის ღირებულება	სულ ღირებულება
ქაღალდის სკოჩი	1	3	3
	1	3.65	3.65
მაკრატელი	1	3	3
ჩასანიშნი მწვანე		1.85	1.85
ენციკლოპედია შევიცნოთ ჩვენი სამყარო	1	40.90	40,90
485577ფერადი ქაღალდი	1	1,20	1,20
485591ფერადი ქაღალდი	2	1,80	3.60
ფოტო ალბომი	1	16,40	16,40
კლიფჩატი	1	9	9
საოფისე ქაღალდი A4	1	7,50	7,50
დაფის მარკერი შავი	2	1,90	3.80
დაფის მარკერი წითელი	2	1,90	3.80
დაფის მარკერი ლურჯი	2	1,90	3.80
ბურთულიანი კალამი ლურჯი	2	0,45	0.90
დაფა ფეხზე დასადგმელი	1	97,60	97,60
ჯამი			200

შემსყიდველი: სსიპ ქალაქ ყვარლის მუნიციპალიტეტის სოფელ შილდისN2 საჯარო სკოლა ს/კ241557784 მის. სოფ შილდა ტელ.577122304 საბანკო რეკვიზიტები. ს.ს ,,ლიბერთი ბანკი'' ბანკის კოდი LBRTGE22 GE52LB0121120011240000 დირექტორი დარეჯანი კანანაძე (ხელმოწერა)	მიმწოდებელი: შპს ბიბლუსი საბანკო რეკვიზიტები: მის. ქ.თელავი ს/ს,,საქართველოს ბანკი'' ბანკის კოდიBAGAGE22 ა/ანGE17BG0000000817232100 მიმწოდებელი შპს ბიბლუსი (ხელმოწერა)